აქტივობები დაწყებითი კლასებისათვის თემაზე:

ცოცხალი და არაცოცხალი

მოამზადა რუსუდან თედორაძემ

აქტივობა 1: ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების ამოცნობა

მიზანი: მოსწავლეებს დაეხმაროს, დაინახონ სხვაობა ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს შორის.

საჭირო მასალები: ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების სურათები (მაგ.: ცხოველები, მცენარეები, ქვები, სათამაშოები); დაფა და მარკერები; ბარათები წარწერებით - „ცოცხალი“ და „არაცოცხალი“.

აქტივობის მსვლელობა:

1. შესავალი - მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების შესახებ, მოჰყავს სათანადო მაგალითები. მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ასახელებენ მახასიათებლებს: ცოცხალი ობიექტები იზრდებიან, სუნთქავენ, მრავლდებიან; არაცოცხალი ობიექტები კი - არა.

2. აქტივობა ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების დაჯგუფება

მასწავლებელი დაფაზე აკრავს ბარათებს წარწერებით - „ცოცხალი“, „არაცოცხალი“; შემდგომ ჯგუფებს ურიგებს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების სურათებს. მათ უნდა დააჯგუფონ სურათები, პრეზენტაციის დროს დაასაბუთონ, არის თუ არა ობიექტი ცოცხალი ან არაცოცხალი და მოათავსონ სურათები დაფაზე, შესაბამისი ბარათების ქვეშ.

შეჯამება - მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და აძლევს მოსწავლეებს პოზიტიურ უკუკავშირს.

აქტივობა 2: სასკოლო გარემოში ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების „ძებნა“

მიზანი: მოსწავლეებმა ისწავლონ, როგორ გააანალიზონ გარემო; ამოიცნონ ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტები.

საჭირო მასალები: კალმები და ქაღალდები; ლუპები (სურვილისამებრ); ინსტრუქციები.

აქტივობის მსვლელობა:

შესავალი - მასწავლებელი კითხვების დახმარებით კიდევ ერთხელ ჩამოათვლევინებს მოსწავლეებს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების კრიტერიუმებს. შემდეგ ესაუბრება მათ, როგორ შეიძლება დააკვირდნენ ობიექტებს და უხსნის ლუპის გამოყენების პრინციპს.

საველე კვლევა - მასწავლებელს მოსწავლეები გაყავს სკოლის ეზოში[1]. კვლევის დაწყებამდე შეახსენებს უსაფრთხოების ნორმებს და აძლევს დავალებას: მათ უნდა ჩაიწერონ ან დახატონ ის ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტები, რომლებსაც ეზოში ნახავენ, გამოიყენონ ლუპა მცირე ზომის ობიექტებზე დასაკვირვებლად.

შეჯამება - კლასში დაბრუნების შემდეგ მოსწავლეები ამზადებენ პრეზენტაციას; კლასელებს წარუდგენენ თავიანთ ჩანაწერებს ან ნახატებს. იმართება დისკუსია - რა ობიექტები ნახეს და რატომ მიაჩნიათ, რომ ეს ობიექტები ცოცხალია ან არაცოცხალი. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

აქტივობა 3: ცოცხალი ობიექტის მოვლა (ვარიანტი 1)

მიზანი: მოსწავლეებმა გააცნობიერონ ცოცხალი ობიექტის მოვლის მნიშვნელობა, გამოუმუშავდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა.

საჭირო მასალები: ოთახის მცენარეები ან აკვარიუმი თევზებით; სარწყავი; საკვები და სხვა საჭირო მასალები.

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს ცოცხალი ობიექტის მოვლის საჭიროებაზე; განუმარტავს, რომ ცოცხალ ობიექტებს სჭირდებათ სინათლე, საკვები, წყალი და ზრუნვა.

მოსწავლეები ნაწილდებიან ჯგუფებად და იღებენ ოთახის თითო მცენარეს (ან აკვარიუმის თევზებს). ჯგუფები გეგმავენ მოვლის განრიგს და წერენ თუ რა უნდა გააკეთონ. მასწავლებელი აკვირდება ჯგუფების მუშაობას, საჭიროებისამებრ აძლევს რეკომენდაციებს. გარკვეული დროის შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას თავიანთი ცოცხალი ობიექტების მოვლის შესახებ.

მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და მოსწავლეებს აძლევს უკუკავშირს.

აქტივობა 4: ცოცხალი ობიექტის მოვლა (ვარიანტი 2)

მიზანი: მოსწავლეები აკვირდებიან და სწავლობენ მცენარის სასიცოცხლო ფუნქციებს.

საჭირო მასალები: ერთჯერადი ჭიქები ან მცირე ზომის ქოთნები; ნიადაგი; მცენარის თესლები; წყალი; მარკერები და წებოვანი ქაღალდები.

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება მცენარეთა სასიცოცხლო თვისებებზე (კვება, ფოტოსინთეზი, ზრდა).

მოსწავლეები თესავენ თესლებს ჭიქებში/ქოთნებში და თითოეული უკეთებს წარწერას თავის 2 ჭიქას/ქოთანს - საცდელი, საკონტროლო. მოსწავლეები რეგულარულად რწყავენ საცდელ მცენარეებს, აკვირდებიან მათ ზრდას და ადარებენ საკონტროლო ჭიქას/ქოთნს; აკეთებენ ჩანაწერებს, ზომავენ და ხატავენ მცენარის ზრდის პროცესს. პროცესის დასრულების შემდგომ

მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ჩანაწერებს, განიხილავენ მცენარის ზრდის ეტაპებს და აკეთებენ დასკვნებს. მასწავლებელი აცნობს სამუშაოს მიმდინარეობის პერიოდში მოსწავლეებზე განხორციელებული დაკვირვების შედეგებს და აძლევს უკუკავშირს.

აქტივობა 5: შემოქმედებითი პროექტი – ცოცხალი და არაცოცხალი

მიზანი: თემის სიღრმისეული გააზრება; მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

საჭირო მასალები:

ქაღალდი, ფანქრები, საღებავები, მაკრატელი, წებო, ჟურნალები ან სურათები.

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ თუ რა განასხვავებს ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს. შემდგომ ჯგუფებში ურიგებს საჭირო მასალებს და აძლევს დავალებას - მოსწავლეებმა უნდა შექმნან პროდუქტი, რომელიც აჩვენებს ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებს. მათ შეუძლიათ შექმნან კოლაჟი, ჟურნალებიდან ამოჭრან სურათები ან თავად დახატონ. მოსწავლეები ამზადებენ და წარუდგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასს. იმართება დისკუსია - სწორად არის თუ არა ობიექტები ამოცნობილი.

აქტივობა 5: „ცოცხალი თუ არაცოცხალი“ - თამაში

მიზანი: ხელი შეუწყოს მოსწავლეებში კლასიფიცირების უნარის განვითარებას, დაეხმაროს ცოცხალი და არაცოცხალი ობიექტების სწრაფად და სწორად ამოცნობაში.

საჭირო მასალები:

ბარათები სურათებით (ცხოველები, მცენარეები, ქვები, სათამაშოები და სხვა)

აქტივობის მსვლელობა:

მასწავლებელი განუმარტავს თამაშის წესებს; კერძოდ, მოსწავლეებს ურიგდებათ ორი ფერის - მწვანე და ყვითელი ბარათები. მწვანე ბარათი აღნიშნავს ცოცხალს, ხოლო ყვითელი - არაცოცხალ ობიექტს. მასწავლებელი აჩვენებს სურათს; მოსწავლეებმა სწრაფად უნდა აჩვენონ ბარათით - არის თუ არა ობიექტი ცოცხალი ან არაცოცხალი. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას; საჭიროებისამებრ აძლევს მოსწავლეებს უკუკავშირს.